ხელშეკრულება N 47

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი

17 . 04. 2013 წ.

სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური (შემდგომში - "**შემსყიდველი**"), წარმოდგენილი სამსახურის უფროსის მოადგილის **გიორგი ბაბაკიშილის** სახით და **შპს "სმაილი"** (შემდგომში - "**მიმწოდებელი**"), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის **დავით დოლიძის** სახით, ორივე ერთად წოდებულნი როგორც "მხარეები", ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებულ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
2. „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
3. „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.
6. „საქონელი" - წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების დანართი N1-ით გათვალისწინებული 6 (ექვსი) ცალი მაცივრის მიწოდება (CPV-39711130)

3. ხელშეკრულების ღირებულება

1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს: 2880.00 (ორი ათას რვაასოთხმოცი) ლარს.
2. საქონლის ღირებულება მოიცავს როგორც მოწოდებული საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.
3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

4. მხარეთა ვალდებულებები

1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება სსიპ საფინანსო-ანალიტიკურ სამსახურში (მისამართი: ქ.თბილისი, გორგასლის ქ N16, სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური) წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში;

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე;

გ) ხელი შეუწყოს შემსყიდველს ინსპექტირების განხორციელებაში.

დ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

5. ხარისხი და გარანტია

1. მიწოდებული საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს და დანართი N1-ით განსაზღვრულ მახასიათებლებს.

2. მიწოდებულ საქონელზე გარანტია ვრცელდება, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 1 (ერთი) წლის განმავლობაში.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

1. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება, როგორც საქონლის მიწოდების დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

2. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს განახორციელებენ შემსყიდველის მიერ განსაზღვრული პირი ან/და პირთა ჯგუფი, ან კონკრეტულ შემთხვევებში მხარეთა შეთანხმებით შესაძლებელია მოწვეულ იქნეს სპეციალური ცოდნის მქონე სპეციალისტი (ექსპერტი).

3. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება უხარისხო საქონელი, მიმწოდებელი ვალდებულია 7 (შვიდი) დღის განმავლობაში გამოასწოროს წუნი, თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს საქონლის ღირებულება, დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული საქონლის ღირებულება.

7. მიღება-ჩაბარების წესი

1. საქონლის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელის მოწერით.

2. საქონლის მიღებას აწარმოებს: სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი ჯაბა ხმალაძე.

8. ანგარიშსწორება

1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში. თუ ანგარიშსწორების დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

1. ხელშეკრულებით მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადების გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.5%-ის ოდენობით.

2. ხელშეკრულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.5%-ის ოდენობით.

3. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დავების გადაწყვეტა

1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში მხარეები ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია, მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

1. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. წინამდებარე ხელშეკრულების მე-6 მუხლი და მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის მოქმედების ვადა განისაზღვროს ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს მე-5 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული ვადის ამოწურვამდე.

15. სხვა პირობები

1. ხელშეკრულებაზე თანდართული დანართი N1 წარმოადგენს აღნიშნული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და განიხილება მასთან მთლიანობაში.

2. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო მეორე - შემსყიდველს.

16. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური **მისამართი:** ქ. თბილისი, გორგასლის ქუჩა 116, **ტელეფონი:** 032 226-10-72, 032 226-10-95. **საბანკო რეკვიზიტები:** ანგ. 200122900, სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, **სკ-204577813**	შპს „სმაილი“ **მისამართი.** ქ. თბილისი, ყაზბეგის 24 **ტელეფონი:** 032 292-35-16, 032 292-26-83 **საბანკო რეკვიზიტები:** ა.ნ GE22BG0000000875089600, სს „საქართველოს ბანკი“, ბანკის კოდი 220101502. **სკ- 205289105**

დანართი N1

შესყიდვის ობიექტის დასახელება	შესყიდვის ობიექტის მახასიათებელი	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება
მაცივარი **Indesit tt85**	თეთრი ფერის, 1 (ერთი) კარებიანი, ზომა: 85x60x60	ცალი	6	480.00	2880.00

შემსყიდველი

მიმწოდებელი